№2205 2015 წლის 13 ოქტომბერი ქ. თბილისი

თუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე 1000 კვ.მ ფართობის კოოპერატივ „რკ ალაზნის თავისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 2^3 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის – თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №16 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.პ“ ქვეპუნქტისა და „დაცული ტერიტორიების უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემისას საწყისი სააუქციონო ფასის განსაზღვრისა და აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 მაისის №125 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-10 პუნქტისა და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. თუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აგროტურიზმის ინფრასტრუქტურის (ცხვრის საწველი ბაკი, ტრადიციული თუშური გუდის

ყველის დამზადებისა და შენახვის საწყობი, საკარვე და საპიკნიკე ადგილი და საპირფარეშო/საშხაპე) მოწყობის მიზნით, კოოპერატივ „რკ ალაზნის თავს“ (ს/კ №424613555) 49 წლის ვადით, აღნაგობის უფლებით გადაეცეს თუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე 1000 კვ.მ ფართობი (ს/კ №50.26.34.033).

2. აღნაგობის ყოველწლიურ საზღაურად განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარი.

3. დაევალოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაუფორმოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს აღნაგობის ხელშეკრულება.

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების რეგისტრაცია განახორციელოს კოოპერატივმა „რ/კ ალაზნის თავმა“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**